



№ 18/1566-16



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ

10 ოქტომბერი 2016 წელი
თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე
გიორგი მიროტაძემ**

ზეპირი მოსმენის გარეშე, განვიხილე გ. უ.-სა და ა. მ.-ს ბრალდების სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარის მტკიცებულებათა ნაწილის დაუშვებლად ცნობის შესახებ, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდომის 2016 წლის 30 სექტემბრის განჩინებაზე, საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორ ნინო ალღემაშვილის საჩივარი და

გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში 2016 წლის 14 სექტემბერს განსახილველად შევიდა სისხლის სამართლის N074040516801 საქმე ბრალდებულების - გ. უ.-ს და ა. მ.-ს მიმართ.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინასასამართლო სხდომა ჩატარდა 2016 წლის 20, 26 და 30 სექტემბერს. 2016 წლის 30 სექტემბრის სხდომაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდომის მიერ განხილული იქნა მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა ნაწილობრივ. კერძოდ, დამტკიცდა ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა პროკურორ ამირან გულუაშვილის მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა მის მიერ მითითებული შემდეგი მასალისა: დოკუმენტი #008670445, თავი #1 - ოქმი ბრალდების მხარესთან შესაძლო მტკიცებულებების თაობაზე ინფორმაციის გაცვლის შესახებ (14.09.16 ადვოკატი შ. კ.), მოწმე ი. გ.-ს გამოკითხვის ოქმი (13.07.16), მოწმე მ. გ.-ს გამოკითხვის ოქმი (19.07.19), მოწმე ი. კ.-ს გამოკითხვის ოქმი (18.07.16), მოწმე ნ. ბ.-ს გამოკითხვის ოქმი (11.07.16), მოწმე მ. მ.-ს გამოკითხვის ოქმი (18.07.16), მოწმე ჯ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (11.07.16), მოწმე ნ. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (12.07.16), მოწმე ე. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (12.07.16), მოწმე ი. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (13.07.16), მოწმე ი. ბ.-ს გამოკითხვის ოქმი (08.07.16), მოწმე ა. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (15.07.16), მოწმე მ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (01.07.16); თავი #2 სასამართლოში დასაკითხ პირთა სია - მოწმე ი. გ., მოწმე მ. გ., მოწმე ი. კ., მოწმე ნ. ბ., მოწმე მ. მ., მოწმე ჯ. ხ., მოწმე ნ. უ., მოწმე ე. უ., მოწმე ი. უ., მოწმე ი. ბ., მოწმე ა. ხ., მოწმე მ. ხ.; ასევე, დამტკიცდა დაცვის მხარის მიერ სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხა ადვოკატების - მ. ვ.-ს და შ. კ.-ს მიერ სასამართლო სხდომაზე ჩამოყალიბებული მოცემულობით და ისინი დაშვებულ იქნა საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები, გარდა



ადვოკატ მ. კ.-ს მიერ მითითებული შემდეგი მასალისა: დასაკითხი პირები - რ. ნ. (პუნქტი 59), მ. გ. (პუნქტი 100) და მ. გ. (პუნქტი 101).

ამავე სხდომაზე, სისხლის სამართლის საქმე გადაეცა არსებითი განხილვისათვის და ბრალდებულების - გ. უ.-ს და ა. მ.-ს მიმართ არსებითი განხილვის სხდომა დაინიშნა 2016 წლის 13 ოქტომბერს 15:00 საათზე.

ზემოაღნიშნული, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდომის 2016 წლის 30 სექტემბრის წინასასამართლო სხდომის განჩინება, ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში, 2016 წლის 04 ოქტომბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გაასაჩივრა საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა, რომელიც ითხოვს, რომ გასაჩივრებულ განჩინებაში შევიდეს ცვლილება და როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებები დასაშვებად იქნას ცნობილი, მოწმეების - ი. გ.-ს, მ. გ.-ს, ი. კ.-ს, ნ. ბ.-ს, მ. მ.-ს, ჯ. ხ.-ს, ნ. უ.-ს, ე. უ.-ს, ი. უ.-ს, ი. ბ.-ს, ა. ხ.-ს და მ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმები და აღნიშნული პირები მითითებულ იქნან დასაკითხ პირთა სიაში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ (ადგილზე თათბირით მიღებულ ზეპირ განჩინებაში) განმარტა, რომ მართალია ბრალდების მხარემ მოცემულ შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები ფორმალურად დაიცვა, კერძოდ, დაცვის მხარისაგან მტკიცებულებების გადაცემის შემდეგ, კანონით დადგენილი წესით დაცვის მხარეს გაუცვალა ინფორმაცია და გადასცა თავად დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების ასლები, რაც ასევე კანონით დადგენილი წესით წარმოადგინა სასამართლოში, თუმცა სასამართლოს შეფასებით ხსენებული მასალების, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებებად ცნობა გამოიწვევს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას. მოსამართლემ განჩინებაში აღნიშნა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. თუ ბრალდების მხარეს მიეცემა შესაძლებლობა დაცვის მხარის მტკიცებულებები საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაში სასამართლოში მიიტანოს, როგორც თავისი მტკიცებულებები, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მოსაზრებით იგი აღმოჩნდება უპირატეს მდგომარეობაში დაცვის მხარესთან შედარებით, რადგან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, ხოლო შემდეგ დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობას და მოცულობას კი განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე. აღნიშნულის გათვალისწინებით დაირღვევა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იგივე პირობებში, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება (იხ.: წინასასამართლო სხდომის ოქმი, საოქმო განჩინება).

წარმოდგენილი საჩივრის მიხედვით, ბრალდების მხარის შეფასებით სასამართლოს განჩინება აშკარად და უხეშად არღვევს, როგორც მხარეთა თანასწორობის ისე შეჯიბრებითობის პრინციპს ბრალდების მხარის საზიანოდ, რადგან სასამართლო ბრალდების მხარეს უწყესებს შეზღუდვას პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიკვლიოს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, მაშინ როდესაც დაცვის მხარეს აქვს სრული შესაძლებლობა ისარგებლოს არამხოლოდ მტკიცებულებებით, რომლებიც უშუალოდ დაცვის მხარემ მოიპოვა, არამედ გამოიკვლიოს ისეთი სახის მტკიცებულებებიც, რომელიც ბრალდების მხარემ მოიპოვა და მტკიცებულებათა გაცვლის ეტაპზე გადასცა. აღნიშნული ვითარება კი მხარეთა შესაძლებლობების არათანასწორობაზე მიუთითებს, რადგან გამოდის, რომ დაცვის მხარე შეძლებს გამოიკვლიოს ბრალდების მხარის ის მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევაც მიზანშეწონილად არ მიიჩნია თავად ბრალდების მხარემ,



მაშინ როდესაც სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად ბრალდების მხარეს შეზღუდული აქვს შესაძლებლობა დაცვის მხარის მსგავსად გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, მათ შორის ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც დაცვის მხარე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გადაწყვეტს, რომ გამოუკვლეველი დატოვოს მის მიერ მოპოვებული ნებისმიერი სახის მტკიცებულება. სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების მიხედვით მას შემდეგ, რაც მხარეები გაცვლიან მტკიცებულებებს ბრალდებულის სასამართლოში პირველ წარდგენამდე, დაცვის მხარე იპოვებს უპირობო უფლებას მტკიცებულებათა ნუსხაში მიუთითოს ბრალდების მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებები, თუმცა იგივე უფლებით ვერ ისარგებლებს ბრალდების მხარე და თუ მას გადაცემული ინფორმაციის თავის მტკიცებულებად წარდგენა სურს სასამართლოში, მან თავად უნდა გამოკითხოს მოწმე, რომელიც უკვე გამოიკითხა დაცვის მხარის მიერ, რაც საერთო ჯამში საგამოძიებო რესურსის ფუჭი ხარჯვაა, რადგან საგამოძიებო მოქმედება მიმართული იქნება ისეთი სახის ინფორმაციის მოპოვებისკენ, რაც უკვე მოპოვებულია დაცვის მხარის მიერ და საბოლოოდ ორი იდენტური ინფორმაციის შემცველი მტკიცებულება განთავსდება საქმეში, რაც ვერავითარ დადებით გავლენას ვერ იქონიებს მართლმსაჯულების ინტერესებზე. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მსგავს შემთხვევებში ამ დრომდე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ბრალდების მხარეს, ისევე როგორც დაცვის მხარეს აძლევდა შესაძლებლობას საკუთარი პოზიციის დასამტკიცებლად გამოიყენებინა, გამოეკვლია, როგორც უშუალოდ მის მიერ მოპოვებული, ასევე მოწინააღმდეგე მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებები და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ცხადია სრულად უზრუნველყოფდა მხარეთა თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვას (იხ.: საჩივარი).

პროკურორ ნინო ადღემაშვილის საჩივარზე დაცვის მხარემ (ადვოკატი შ. კ.) 2016 წლის 05 ოქტომბერს სასამართლოში შეიტანა შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ მიიღო სრულად დაუსაბუთებელი და უკანონო გადაწყვეტილება, როდესაც დაცვის მხარის მიერ გადაცემული მტკიცებულებები თავადაც მიუთითა ნუსხაში და წინასასამართლო სხდომაზე სურდა დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თავის მტკიცებულებებად წარმოჩენა. დაცვის მხარეს მიაჩნია, რომ მტკიცებულებათა დასაშვებობის დროს სასამართლომ არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ დასაშვებობის „ფორმალური“ საფუძვლებით, ვინაიდან აღნიშნული ზღუდავს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლო განხილვისა და დაცვის უფლებას და ეწინააღმდეგება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს. პროკურატურის მიზანს რა თქმა უნდა, წარმოადგენს მოიპოვოს დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების პირველადი გამოკვლევის უფლება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მხარე თავად განსაზღვრავს მტკიცებულებების რიგითობას, ბრალდების მხარეს უფლება ექნება ჯერ გამოიკვლიოს დაცვის მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები, დაკითხოს მოწმეები, ხოლო შემდეგ მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები (იხ.: „შესაგებელში“ დაცვის მხარის მოსაზრებები პროკურორის საჩივარზე).

წარმოდგენილი საჩივრისა და საქმის მასალების გაანალიზების შედეგად სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ პროკურორის საჩივარში მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული ბრალდების მხარის არგუმენტები და პოზიცია. ამასთან, სასამართლოსთვის ცნობილია დაცვის მხარის პოზიცია და მოსაზრებები საჩივარში მითითებულ საკითხზე (იხ.: წინასასამართლო სხდომის ოქმი, პროკურორის საჩივარი და ადვოკატის „შესაგებელი“) და შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიის შეფასებით რაიმე საკითხი დამატებით, ზეპირი მოსმენით დაზუსტებას არ საჭიროებს, ხოლო წარმოდგენილი მასალები სრულიად საკმარისია საჩივრის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსამართლის დისკრეციის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიამ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა წარმოდგენილი საჩივარი, შეისწავლა და გააანალიზა მოცემული სისხლის სამართლის საქმის მასალები და მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განიხილავს მხარეთა შუამდგომლობებს მტკიცებულებათა



დასაშვებობის თაობაზე. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ ერთჯერადად, 5 დღის ვადაში საჩივრდება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს მეშვეობით, რომელიც საჩივარს, საქმის მასალებსა და წინასასამართლო სხდომის ოქმს დაუყოვნებლივ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლე ზეპირი მოსმენით ან მის გარეშე განიხილავს საჩივარს 5 დღის ვადაში.

საკითხის განხილვისას, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად, არცერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ხოლო, ამავე კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, არის დაუშვებელი და იურიდიული ძალა არ გააჩნია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი მოწმის ჩვენება დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ ამ მოწმის გამოკითხვის ოქმი არ გადაეცა მეორე მხარეს ამ კოდექსის 83-ე მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს თუ როდის შეიძლება მტკიცებულება ჩაითვალოს დაუშვებლად. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარის მოთხოვნის შემთხვევაში დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ის ავთენტიკურია. დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ მხარეს შეუძლია მოწმედ დაკითხოს პირი, რომელმაც მოიპოვა/შექმნა იგი ან/და რომელთანაც ინახებოდა სასამართლოში წარდგენამდე. გარდა იმისა, რომ დოკუმენტს მტკიცებულებითი ძალა აქვს თუ ცნობილია მისი წარმომავლობა და ავთენტიკურია, მისი, როგორც მტკიცებულების სახით დასაშვებად ცნობისათვის აგრეთვე აუცილებელია, რომ იგი მოპოვებული იყოს კანონით დადგენილი წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები კანონის დაცვითაა მოპოვებული, მათი მოპოვებისას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებით დარღვევას ადგილი არ ჰქონია, აღნიშნული ეჭვქვეშ არ დამდგარა და არც სასამართლოს დაუდგენია წარდგენილი მტკიცებულებების კანონის დარღვევით მოპოვების ფაქტი. არც ისაა სადავო, რომ მითითებული მტკიცებულებები არის ავთენტიკური და რელევანტური. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ სამართალწარმოების პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ხოლო, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. აღნიშნულ პოზიციას ამყარებს ის გარემოებაც, რომ სამართალწარმოების პროცესის შეჯიბრებითობიდან გამომდინარე მხარეები თავად განსაზღვრავენ თუ რომელ მტკიცებულებას წარადგენენ სასამართლოში და რომელს არა და ამ მხრივ მათ კანონმდებლობა რაიმე შეზღუდვას არ უწესებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებები სრული მოცულობით უნდა იქნას ცნობილი დასაშვებად, ვინაიდან მითითებული მტკიცებულებების წარმომავლობა, ავთენტიკურობა, რელევანტურობა ეჭვის ქვეშ არ დგას. ამასთან, ბრალდებამ დაცვის მხარეს და სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში და წესით მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სწორედ აღნიშნული მტკიცებულებების წარდგენას და მოწმეების დაკითხვას აპირებდა სასამართლოში, როგორც ასევე ბრალდების მტკიცებულებები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, წინასასამართლო სხდომაზე მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვისთვის აუცილებელია, რომ ორივე მხარეს ერთნაირად ჰქონდეთ შესაძლებლობა მიუთითონ, წარადგინონ მტკიცებულებები და მოითხოვონ მათი დასაშვებად ცნობა. ასეთ შემთხვევაში გამონაკლისს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს და მაშინ,



როდესაც ბრალდების მიერ გამოკითხული პირები მოწმის სახით ჰყავს მითითებული დაცვის მხარეს (რომლებიც თავად არ გამოუკითხავს) და აღნიშნული დასაშვებად ცნო სასამართლომ, იმავე პრინციპით, ბრალდების მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები და დაცვის მხარის მიერ გამოკითხული პირების მოწმის სახით დაკითხვა დასაშვებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. გარდა ამისა, ასეთ ვითარებაში თუ დაცვის მხარე შემდგომში უარს იტყვის რომელიმე მოწმის დაკითხვაზე, ბრალდების მხარეს ეკარგება შესაძლებლობა გამოიკვლიოს მტკიცებულება, მაშინ როდესაც დაცვის მხარე სარგებლობს ამ შესაძლებლობით. სწორედ, ამან შეიძლება გამოიწვიოს შემდგომში, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა და რაც შეეხება იმას, რომ ბრალდებამ შესაძლოა ჯერ დაცვის მიერ მისთვის გადაცემული მტკიცებულებები გამოიკვლიოს, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე პირველად იკვლევენ ბრალდების მხარის, შემდეგ კი დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ხოლო გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობას განსაზღვრავს თვით წარმდგენი მხარე, აღნიშნული სააპელაციო სასამართლოს შეფასებით არ არღვევს სამართლიანი სასამართლოს უფლებას, რადგან თუნდაც რიგითობის განსაზღვრა, არ უზღუდავს მეორე მხარეს თავისი მტკიცებულების შემდგომში გამოკვლევას, მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც დაცვის მხარე ისე სასამართლო, ბრალდების მხარის მიერ არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებათა გამოკვლევისას რიგითობის განსაზღვრასთან დაკავშირებით (თუ როგორ შეიძლება მოიქცეს პროკურორი) მიუთითებს მხოლოდ ვარაუდებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მითითებული ნორმა, რომელზედაც აპელირებს პირველი ინსტანციის სასამართლო (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლი), გამოიყენება საქმის არსებითი განხილვის დროს, რაც სცილდება წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლის შეფასების საგანს. ამავდროულად მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ არსებითი განხილვის სხდომის სასამართლო არაა შეზღუდული ხსენებული ნორმის განმარტებაში და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის (რომლის თანახმადაც, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები, ისე რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა) და 38-ე მუხლის მე-14 ნაწილის გათვალისწინებით (რომლის თანახმადაც, ბრალდებულს უფლება აქვს დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იგივე პირობებში, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა ხდება), იმისათვის, რომ დაცული იყოს, როგორც მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი, ისე ბრალდებულისათვის სამართლიანი სასამართლოს უფლება, თუკი ასეთს სასამართლოს შეფასებით შეიძლება ჰქონდეს ადგილი, შესაძლებელია არსებითი განხილვის დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 ნაწილის არა დამოუკიდებლად, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე და 38-ე მუხლებთან ერთობლიობაში განმარტება და გამოსაკვლევად წარდგენილ მტკიცებულებათა რიგითობის ისე განსაზღვრა. თუმცა აღნიშნული საკითხი, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე შესაფასებელი და გადასაწყვეტი საკითხია და მასზე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომაზე განსაზღვრული საკითხების გადაწყვეტის ეტაპზე, მსჯელობა უსაფუძველოა.

საგულისხმოა ისიც, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მიერ მითითებული 12 მოწმის გამოკითხვის ოქმი და ამორიცხა ისინი დასაკითხი მოწმეების სიიდან, თუმცა იმავე პრინციპით იყო წარდგენილი კიდევ 2 მოწმის (კ. ქ.-ს და ნ. ხ.-ს) გამოკითხვის ოქმებიც, რაც სასამართლომ დასაშვებ მტკიცებულებად მიიჩნია. ასეთ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს არ მიაჩნია სწორად საკითხის არაერთგვაროვნად ან შერჩევით გადაწყვეტა. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შეფასებით არ აქვს მნიშვნელობა მეორე მხარე ითხოვდა თუ არა ამ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, სასამართლოს აღნიშნული საკითხი უნდა შეემოწმებინა სრული მოცულობით. ვინაიდან, წინასასამართლო სხდომაზე მოსამართლე იხილავს მხარის შუამდგომლობას მტკიცებულებების დასაშვებად ცნობის შესახებ (საქ-ოს სსსკ-ის 219-ე მუხლი), რა დროსაც ისმენს მორე მხარის პოზიციას, თუმცა ეს არ უკრძალავს მას, რომ შეაფასოს სხვა მტკიცებულებებიც, რომელზედაც მეორე მხარე არ ამხვილებს ყურადღებას. ასეთ ვითარებაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ, როდესაც დასაშვებად ცნო მოწმეების - კ. ქ.-ს და ნ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმები, აღნიშნულით წინააღმდეგობაში მოვიდა თავისივე გადაწყვეტილებასთან, რადგან იმავე პრინციპით



მითითებული ხსენებული 12 მოწმის გამოკითხვის ოქმი ცნო დაუშვებლად და ამორიცხა ისინი დასაკითხ პირთა სიიდან. ამასთან, თუ მითითებული 12 მოწმის გამოკითხვის ოქმსა და ამ პირების დასაკითხ პირთა სიაში დამტკიცებას, როგორც ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, შეიძლება გამოეწვია სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, მაშინ გაურკვეველია რატომ გამოირიცხა სასამართლომ, რომ იგივე შედეგი იქნებოდა მოსალოდნელი მოწმების - კ. ქ.-ს და ნ. ხ.-ს დასაკითხ პირთა სიაში დამტკიცებისა და მათი გამოკითხვის ოქმების მტკიცებულებებად ცნობის შემთხვევაშიც. ამ საკითხზე სასამართლოს არ უმსჯელია. სააპელაციო სასამართლო კი აღნიშნავს, რომ ამ პრინციპით, თუ მეორე მხარე არ მოითხოვს რომელიმე, თუნდაც კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობას, მაშინ სასამართლოს თავისი ინიციატივით არ ექნება შესაძლებლობა უარი უთხრას მხარეს მტკიცებულების დასაშვებად ცნობაზე, თუნდაც ეს მტკიცებულება კანონის დარღვევით იყოს მოპოვებული, რაც ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის მიზნებს. აღნიშნულზე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიამ არაერთხელ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 219-ე მუხლის საფუძველზე მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე მხარეთა შუამდგომლობების განხილვისას, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე მიუხედავად იმისა მეორე მხარე ხდის თუ არა სადაოდ რომელიმე მტკიცებულების დასაშვებად ცნობას, არ არის შეზღუდული და უფრო მეტიც - სამართლიანი სასამართლოს პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულია სრულყოფილად შეამოწმოს მხარეთა მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება და ისე მიიღოს გადაწყვეტილება კონკრეტული მტკიცებულებების დასაშვებად თუ დაუშვებლად ცნობის შესახებ (იხ.: სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის #1გ/1917-15; #1გ/730-16 გადაწყვეტილებები და სხვა).

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ყურადღებას მიაქცევს იმასაც, რომ მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე ასევე ნამსჯელი აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს თავის გადაწყვეტილებებში, რომელიც ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისთვის პრაქტიკის განმსაზღვრელია, სადაც შესაძლოა ზუსტად განსაზღვრული შემთხვევის იდენტური საკითხი არ იყოს გადაწყვეტილი, მაგრამ პრინციპები, რაც დაამკვიდრა და განმარტა უზენაესმა სასამართლომ, ყველა შემთხვევაში საყურადღებოა.

კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 29 ივნისის #526აპ-14 განაჩენში მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბრალდებულს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთსავე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვს ბრალდების მოწმეებს. აღნიშნული პრინციპი განმტკიცებულია ასევე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (d) პუნქტით, კერძოდ: ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები: დაკითხოს ან დააკითხინოს ბრალდების მოწმეები და გამოაძახებინოს და დააკითხინოს დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეთა თანაბარ პირობებში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სტანდარტი ასახულია ასევე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-14 ნაწილში, რომლის თანახმადაც, „ბრალდებულს უფლება აქვს: ... დაცვის მხარის მტკიცებულება გამოიკვლიოს იმავე პირობებში, როგორშიც ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევა ხდება“. ამასთან, პალატამ განმარტა, რომ აღნიშნული უფლება წარმოადგენს მხარეთა თანასწორუფლებიანობისა და შეჯიბრებითი პროცესის მნიშვნელოვან გარანტიას, თუმცა მიუხედავად დაცვის მხარისათვის ამ უფლების მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ არის აბსოლუტური ხასიათის და სასამართლო ყველა შემთხვევაში, უპირობოდ არ არის ვალდებული, დააკმაყოფილოს დაცვის მხარის ეს მოთხოვნა. ეს დამოკიდებულია იმ სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებზე, რომლებიც ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, სახელმწიფოში აწესრიგებს მტკიცებულებათა დასაშვებობისა და გამოკვლევის პროცედურებს.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლით განმტკიცებულ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზეც, კერძოდ: ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს



შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება და მიუთითა, რომ აღნიშნული პრინციპები ასევე რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმადაც სასამართლო ვალდებულია, მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არც ერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. პალატამ აღნიშნა, რომ მითითებული ნორმები არის ზოგადი ხასიათის, რომლებიც განამტკიცებს შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპებს, ხოლო კონკრეტული სამართლებრივი საკითხი უნდა გადაწყდეს იმ სპეციალური ნორმების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებს სადავო სამართლებრივ ურთიერთობას და მიუთითა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა ერთმანეთისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის წესს, რა დროსაც უნდა შეფასდეს მხარეთა მიერ მტკიცებულებათა მეორე მხარისათვის გადაცემისა და სასამართლოსათვის წარდგენის კანონიერების საკითხი.

ამავე განაჩენში საკასაციო პალატამ განმარტა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მე-6 ნაწილში მოხსენიებული ტერმინი - „სრული ინფორმაციაში“, რომლის ერთმანეთისთვის მიწოდების ვალდებულება აქვთ მხარეებს, მოიაზრება ყველა ის ინფორმაცია (მტკიცებულება), რომლებიც მხარეებს ხელთ აქვთ და მის სასამართლოში წარდგენას აპირებენ. დამატებით მხარეებისათვის იმ მოვალეობის დაკისრება, რომ გამოკითხვის ოქმების მეორე მხარისათვის გადაცემასა და სასამართლოსთვის წარდგენასთან ერთად დაეკისროთ ასევე ერთმანეთისა და სასამართლოსათვის დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენა, არ გამომდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის ან სხვა ნორმების მოთხოვნებიდან. ამ გადაწყვეტილებით, მართალია სასამართლომ იმსჯელა დასაკითხ პირთა სიის (ნუსხის) წარდგენის ვალდებულების არარსებობაზე (იხ.: აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის #652აპ-15 განაჩენში,) მაგრამ ამავდროულად დამკვიდრა პრინციპი, რომ სხვა რაიმე ვალდებულება, გარდა იმისა, რომ მეორე მხარეს და სასამართლოს გადასცენ ის ინფორმაცია (მტკიცებულებები), რომლებიც ხელთ აქვთ, მხარეს არ ეკისრება - ე.ი. სხვა რაიმე შეზღუდვა კანონმდებლობა მხარეს არ უწესებს.

საყურადღებოა ისიც, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2015 წლის 29 ივნისის #526აპ-14 განაჩენის მე-15 პუნქტში განმარტა, რომ შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპების არალეგიტიმური შეზღუდვა სახეზე იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული საპროცესო კოდექსის ნორმის მოთხოვნის საფუძველზე მოსამართლე ანალოგიურ მოცემულობაში ბრალდებისა და დაცვის მხარეების სასარგებლოდ მიიღება განსხვავებულ გადაწყვეტილებებს და მათ არ მისცემდა კონკრეტული ნორმით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის თანაბარ შესაძლებლობას, რასაც სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შეფასებით განსახილველ ვიტარებაში აქვს ადგილი.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დასაშვებად ცნო დაცვის მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები იმ მოწმეების დაკითხვასთან მიმართებაშიც, რომლებიც წარმოადგენდნენ ბრალდების მოწმეებს და ასევე ბრალდების მხარის მიერ მითითებული იმ ორი მოწმის მიმართებაში, რომლებიც წარმოადგენდნენ დაცვის მოწმეებს და ამავდროულად დაუშვებლად ცნო იმავე პრინციპით მოპოვებული და ბრალდების მხარის მიერ მითითებულ დაცვის მხარის 12 მოწმესთან მიმართებაში მტკიცებულებები და ამორიცხა ისინი სასამართლოში მოწმეთა დასაკითხ პირთა სიიდან, რითაც ფაქტობრივად მხარეები აღმოჩნდნენ არათანაბარ მდგომარეობაში. შესაბამისად, მაშინ როდესაც, კონკრეტულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ დაცულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლის მოთხოვნები, კანონის მოთხოვნათა დაცვით მის მიერ მოპოვებული, ასევე მეორე მხარისა და სასამართლოსთვის გადაცემული და მტკიცებულებათა ნუსხაში მითითებული მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა, ისევე, როგორც ხსენებული მოწმეების დასაკითხ პირთა სიიდან ამორიცხვა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია.



ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, მოცემულ საქმეზე, წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვის სტადიაზე, კონკრეტული საპროცესო კოდექსის ნორმის მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებისა და დაცვის მხარეების სასარგებლოდ მიღებული არ უნდა იქნას განსხვავებული გადაწყვეტილება და მათ უნდა მიეცეთ კონკრეტული ნორმით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობა, რომლის გათვალისწინებითაც, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია მიიჩნევს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად უთხრა უარი ბრალდების მხარეს მის მიერ წარდგენილი - ი. გ.-ს, მ. გ.-ს, ი. კ.-ს, ნ. ბ.-ს, მ. მ.-ს, ჯ. ხ.-ს, ნ. უ.-ს, ე. უ.-ს, ი. უ.-ს, ი. ბ.-ს, ა. ხ.-ს და მ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმების მტკიცებულების სახით დაშვებასა და აღნიშნული პირების დასაკითხ პირთა სიაში მითითებაზე.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის შეფასებით, აღნიშნულ საკითხზე წარმოდგენილი, პროკურორ ნინო ალემამშვილის საჩივარი არის საფუძვლიანი და უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :

ვიხელმძღვანელებუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3, მე-9, 25-ე, 72-ე, 78-ე 82-ე, 83-ე, 207-ე, 219-ე მუხლებით და

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე :

1. საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი პროკურორ ნინო ალემამშვილის საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდომის 2016 წლის 30 სექტემბრის წინასასამართლო სხდომის განჩინება ბრალდების მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის ნაწილში და ბრალდების მხარის მიერ მითითებული მტკიცებულებები - მოწმე ი. გ.-ს გამოკითხვის ოქმი (13.07.16), მოწმე მ. გ.-ს გამოკითხვის ოქმი (19.07.19), მოწმე ი. კ.-ს გამოკითხვის ოქმი (18.07.16), მოწმე ნ. ბ.-ს გამოკითხვის ოქმი (11.07.16), მოწმე მ. მ.-ს გამოკითხვის ოქმი (18.07.16), მოწმე ჯ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (11.07.16), მოწმე ნ. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (12.07.16), მოწმე ე. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (12.07.16), მოწმე ი. უ.-ს გამოკითხვის ოქმი (13.07.16), მოწმე ი. ბ.-ს გამოკითხვის ოქმი (08.07.16), მოწმე ა. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (15.07.16), მოწმე მ. ხ.-ს გამოკითხვის ოქმი (01.07.16), დაშვებულ იქნას საქმის არსებით განხილვაზე, როგორც მტკიცებულებები და დასაკითხ პირთა სიაში შეტანილ იქნან მოწმეები - ი. გ., მ. გ., ი. კ., ნ. ბ., მ. მ., ჯ. ხ., ნ. უ., ე. უ., ი. უ., ი. ბ., ა. ხ., მ. ხ.;
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის უფლებამოსილ პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე
გიორგი მიროტაძე